საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„ზამთარი”

„ზამთარი”, ქართული (ქართლ-კახური) ხალხური, ე. წ. „გრძელი” სუფრული სიმღერა. აგებულია „ვეფხისტყაოსნის” ერთ-ერთ სტროფზე („ზამთარი ვარდთა გაახმობს, ფურცელნი ჩამოსცვივიან...”). სიმღერაში ნათლად შეინიშნება *ლიტ.* პირველწყაროდან მომდინარე ფილოს. ჩაფიქრება, რაც მუსიკის ხასიათითაც გამოიხატება. სიმღერა სამხმიანია, შედგება რამდენიმე მუხლისაგან და ზოგიერთი ვარიანტი ბოლოვდება აღმავალი სეკვენციებით. სხვა სუფრულების მსგავსად სიმღერაში ორი მთქმელი ავითარებს მელოდიურ ნახაზს გაბმული (ბურდონული) ბანის ფონზე.

ლიტ.: ჩ ი ჯ ა ვ ა ძ ე ო., ქართული (კახური) ხალხური სიმღერები, ნაწ. 1, თბ., 1962; ჩ ხ ი კ ვ ა ძ ე გრ., ქართული ხალხური სიმღერა, თბ., 1960.

ი. ჟორდანია